,,ვლ10", ,,ვლ11" სერიის ელმავლების და ,,ჩმე-3" სერიის თბომავლების „კრ-2" მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების მომსახურების შესყიდვის

ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია

წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია 2022 წლის 8 თებერვლის საქართველოს მთავრობის №62 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს რკინიგზისა" და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის" საფუძველზე

ქ. თბილისი
2024

სატენდერო დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 54 000 000 ლარი დღგ-ს გარეშე.
2. შესყიდვის ობიექტი: დანართი №1

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა /განზომილება (ცალი)	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე	საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე	მომსახურების გაწევის ვადა	შემკეთებელი საწარმო/ მომსახურების გაწევის ადგილ(ებ)ი *
1	,,ვლ10" სერიის ელმავლების „კრ-2" მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთება	1				
2	,,ვლ11" სერიის ელმავლების „კრ-2" მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთება	7				
3	,,ჩმე-3" სერიის თბომავლის „კრ" („კრ-2") მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთება	8				

*** მომსახურების გაწევის ადგილად არ დაიშვება საომარი და/ან სახელმწიფო გადატრიალებების მოქმედებების მიმდინარეობის ტერიტორია/ტერიტორიები**

განსაკუთრებული მოთხოვნები:

მომსახურების გაწევის საერთო პირობები:

1. შემსყიდველის მიერ შესაკეთებელი ელმავლ(ებ)ის და თბომავლ(ებ)ის) (შემდგომში ერთობლივად „ლოკომოტივები") გადაცემა უნდა განხორციელდეს თბილისის, ხაშურის და სამტრედიის სალოკომოტივო დეპოების ტერიტორიაზე (ლოკომოტივების ადგილსამყოფელის შესაბამისად), რაზედაც შედგება მიღება-გადაცემის აქტი. აღნიშნული აქტის გაფორმებიდან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებდამდე შესაკეთებლად გადაცემული შესყიდვის ობიექტის დაღუპვის და დაზიანების რისკი გადადის მიმწოდებელზე. აგრეთვე ტრანსპორტირებისას მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ტექნიკური წუნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

   შენიშვნა:

   სს ,,საქართველოს რკინიგზასთან" შეთანხმებით დაინტერესებულ პრეტენდენტ(ებ)ს უფლება აქვს წინასწარ დაათვალიეროს შესაკეთებელი ლოკომოტივები.

   ლოკომოტივები დაკომპლექტებული იქნება ძირითადი აგრგატებით (წევის ძრავებით, მოტორ-ვენტილატორებით, მართვის გენერატორებით, გარდამსახებით, მოტორ კომპრესორებით, კომპრესორებით, გიდრო რედუქტორით).

   * ელმავლების გადაცემა განხორციელდება მასზე დაუკომპლექტებელი (მოხსნილ მდგომარეობაში) წევის ძრავების თანხლებით.
2. ტუ-25 ფორმის გაცემას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
3. შემსყიდველი ვალდებულია შესაკეთებელი ლოკომოტივის მიღება-გადაცემის აქტის შედგენისას წარუდგინოს მიმწოდებელს, როგორც ლოკომოტივის ტექნიკური პასპორტი, ასევე ყველა კვანძის, აგრეგატების და სხვა მოწყობილობების პასპორტები.

   შესაკეთებლად გადაცემული ლოკომოტივების და ელმავლის წევის ძრავების ტრანსპორტირების ხარჯები სალოკომოტივო დეპოდან სარემონტო ქარხნამდე და უკან, აგრეთვე ტრანსპორტირებისას მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ტექნიკური წუნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს. იმ შემთხვევაში თუ შესაკეთებლად გადაცემული ელმავლების წევის ძრავების ტრანსპორტირებას მიმწოდებელი განახორციელებს სარკინიგზო საშუალებებით, ვაგონებზე სარემონტო წევის ძრავების დატვირთვასა და დამაგრებას შემსყიდველის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით. ყველა სხვა ტრანსპორტირების საშუალების გამოყენების შემთხვევაში სარემონტო წევის ძრავების დატვირთვისა და დამაგრების ხარჯები ეკისრება მიმწოდებელს.
4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ლოკომოტივებზე მომსახურებას განახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მიმწოდებელმა ლოკომოტივების გადაცემამდე უნდა წარმოადგინოს უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია (თითოეულ ერთეულზე) გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზინდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო

გარანტიის წარმოდგენა **(მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან)** რომელ(ებ)იც უნდა იქნეს დამოწმებული საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. გარანტი(ებ)ის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ ლოკომოტივზე მომსახურების გაწევის საბოლოო შესრულების ვადას.

გარანტიების მოცულობა განისაზღვრება:

ვლ11-276 -1981ელმავლი -950000 ლარი
ვლ11-451-1994 ელმავლი - 1100000 ლარი
ვლ11-257-1989 ელმავლი -1005000 ლარი
ვლ11-258-1989 ელმავლი -1005000 ლარი
ვლ10-749-1986 ელმავლი -1000000 ლარი
ვლ11-261-1989 ელმავლი -1005000 ლარი
ვლ11-753-1986 ელმავლი -1000000 ლარი
ვლ11-676-1986 ელმავლი -1000000 ლარი
ჩმე3 N4560-1984წ. –350000 ლარი
ჩმე3 N5262-1986წ. –410000 ლარი
ჩმე3 N5271-1986წ. –410000 ლარი
ჩმე3 N5463-1986წ. –410000 ლარი
ჩმე3 N6026-1987წ. –470000 ლარი
ჩმე3 N5263-1986წ. –410000 ლარი
ჩმე3 N5464-1986წ. –410000 ლარი
ჩმე3№3424-1979წ. – 350000 ლარი

5. გარემონტებული ლოკომოტივის მიღება-ჩაბარების შუალედური აქტი, შედგება მიმწოდებლის სარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე, სტაციონალური გამოცდის ჩატარების შემდეგ.
6. ლოკომოტივ(ებ)ის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრულ მისამართებზე, საქართველოს რკინიგზის კუთვნილი მაგისტრალური ლიანდაგის შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მონაკვეთზე საცდელი გარბენის ჩატარების შემდეგ.

შენიშვნა: შეკეთებული ლოკომოტივები მოწოდებულ უნდა იქნეს DDP პირობებით. არარეზინდენტმა მიმწოდებელმა ლოკომოტივების მიწოდება უნდა განახორციელოს DAP პირობით. ამასთან, დღგ-სა და საბაჟო გადასახადებს, რომლებიც წარმოიქმნება საქონლის იმპორტის რეჟიმში საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია. ხსენებულ საბაჟო გადასახადს (დღგ-ს თანხის გარდა), საბროკერო მომსახურების ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აუნაზღაურებს მიმწოდებელი შემსყიდველს ან შემსყიდველი გაუქვითავს მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხებიდან ურთიერთ ანგარიშსწორებისას.

<u>მომსახურების განხორციელების განსაკუთრებული პირობები:</u>

მიმწოდებელი ვალდებულია:

1) ელმავლის საქარხნო კაპიტალური შეკეთება განახორციელოს მუდმივი დენის ელმავლების საშუალო და კაპიტალური შეკეთების წესების ЦТ/3878-1980 წ. სრული დაცვით ;
2) თავად უზრუნველყოს მუდმივი დენის ელმავლების საშუალო და კაპიტალური შეკეთების წესების (ЦТ/3878-1980 წ.) მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;
3) ელმავლებზე განახორციელოს რეკუპერაციული სქემის აღდგენა აგზნება-უკუ აგზნება სისტემის გამოყენებით (გარდამსახი НБ-436)
4) ვლ-11/10 ელმავლების რემონტი უნდა ჩატარდეს 3ТЕ.000.037-05Э3 ან 3ТА.000.037-05Е3 ან 3ТЕ.000.037Э3 ან 3ТА.000.023-Е3 ელექტროსქემებით **(სქემები მოცემულია დანართ N8_ში).**
5) ლოკომოტივებზე მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სამონტაჟო მოწყობილობები და აგრეგატები უნდა იყოს ახალი, დამზადებული არაუადრეს 2023 წლისა და არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში.
6) განახორციელოს მონტაჟი:

- ლოკომოტივებზე - რადიოსადგური РВ-1М (ან ანალოგი) (შემსყიდველთან შეთანხმებით).
- ლოკომოტივებზე - სალოკომოტივო სიგნალიზაციის სისტემა АЛС-МУ ორი სათადარიგო კასეტით(ან ანალოგი) (შემსყიდველთან შეთანხმებით).
- ლოკომოტივებზე - მინის ელექტრომწენდი Пц.003.000.10. (ან ანალოგი) (შემსყიდველთან შეთანხმებით).
- ლოკომოტივებზე - მაცივარი TC14FL-AC. (ან ანალოგი) (შემსყიდველთან შეთანხმებით).

- ლოკომოტივებზე - მიკროტალღური ღუმელი. (შემსყიდველთან შეთახმებით)
- ლოკომოტივებზე - კონდიციონერი КХЛ-500-3,5.У1. (ან ანალოგი) (შემსყიდველთან შეთანხმებით).
- ელმავლებზე - ვაგონის გათბობის სისტემა და Э.018-01 ტიპის ვაგონთაშორისი მაღალი ძაბვის შემაერთებელი 185 მმ² კვეთით (კომპლექტში)
- თბომავლებზე - სახანძრო გამაფრთხილებელი სისტემა ГАММА და კომპანია FirePro-ს ცეცხლმაქრი სიტემა ან ანალოგი (შემსყიდველთან შეთანხმებით)

7) „რკინიგზის პროდუქციის სპეციალური ჩამონათვალის“ შესაბამისად, შეკეთებულ ლოკომოტივების მიწოდებისას თან უნდა ახლდეს: დამონტაჟებული რადიოსადგურის, Э.018-01 ტიპის ვაგონთაშორისი მაღალი ძაბვის შემაერთებელი 185 მმ² კვეთით (კოპლექტში), წყვილთვალის ელემენტების, სალოკომოტივო სიგნალიზაციის სისტემების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი და შესაბამისობის სერტიფიკატ(ებ)ი. ხოლო მინის ელექტრომწენდზე და კონდენციონერზე მწარმოებელი ქარხნის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი).

8) ლოკომოტივების შეღებვა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დიზაინის მიხედვით .

9) გადაცემულ ლოკომოტივებზე დანაკლისი და დაუკომპლექტებელი დეტალების ღირებულება შედის ლოკომოტივების შეკეთების ღირებულებაში;

10) ლოკომოტივების ქვეშ შეგორებული წყვილთვლები უნდა იყოს ფორმირებული ახალი არტახებით, წყვილთვალების ცალკეულ ელემენტებზე დეფექტოსკოპიის ჩატარების შედეგად დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული ელემენტები ახლით.

11) ელმავლის წევის ძრავის იზოლაცია უნდა აკმაყოფილებდეს H კლასის მოთხოვნებს;

12) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ურიკებისა და ძარის ჩარჩოებზე ჩატარებული დეფექტოსკოპიის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, აწონვის (ღერძებზე წონის გადანაწილების) დოკუმენტი.

13) ლოკომოტივების მიწოდებისას წარმოადგინოს ლოკომოტივებზე დამონტაჟებული აგრეგატების და სისტემების საექსპლუატაციო სახელმძღვანელო და პასპორტები ან ფორმულარი.

14) თბომავლის საქარხნო კაპიტალური შეკეთება განახორციელოს 1981წ. „ჩმე-2“ და „ჩმე-3“ სერიის თბომავლების „კრ-1“ და „კრ-2“ საქარხნო კაპიტალური შეკეთების წესების ЦТ/ЦТВР 3963_ის შესაბამისად

15) გაატაროს ღონისძიებები ლოკომოტივების დაწესებული მსახურების ვადის გასაგრძელებლად საჭირო ტექნიკური გადაწყვეტილების მისაღებად და ტექნიკური გადაწყვეტილების შესაბამისად, განახორციელოს თბომავლების მსახურების ვადის გაგრძელება არანაკლებ 15 წლით; და #11 276 ელმავლის დაწესებული მსახურების ვადის გაგრძელება არა ნაკლებ 5 წლით, 2036 წლის ჩათვლით.

16) თბომავლის მართვის ჯიხურში უნდა დამონტაჟდეს ორი კომპლექტი მემანქანის სიფხიზლის სახელური და სალოკომოტივო სიგნალიზაციის მაფრთხილებელი ნათურა მიმართულების ორივე მხარეს (მონტაჟის ადგილი შემსყიდველთან შეთანხმებით);

17) თბომავლებზე განახორციელოს ერთი პირით მართვის პულტის აღდგენა ან/და დაყენება

18) ლოკომოტივების ჯიხურებში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებით კვება 12ვ 1ა და 12ვ 10ა

<u>შეკეთებული ლოკომოტივების მიღების პროცედურა:</u>

1. შეკეთებული ლოკომოტივების მიღება-ჩაბარების შუალედური აქტის შედგენა წარმოებს ფაქტიური რემონტის დამთავრების და დადებითი სტაციონარული გამოცდების ჩატარების დამადასტურებელი დადებითი დასკვნის შემდეგ. ლოკომოტივების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება მიწერის სალოკომოტივო დეპოში , რემონტის ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შეკეთებული ლოკომოტივის საცდელი გარბენის გამოცდისა და შემოწმების საფუძველზე.
2. ლოკომოტივების გამოცდა/ები უნდა განხორციელდეს რკინიგზის მაგისტრალურ ლიანდაგზე. თუ საცდელი გარბენი განხორციელდა საქართველოს ტერიტორიის გარეთ შემსყიდველი იტოვებს უფლებას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს დამატებითი საცდელი გარბენი საქართველოს რკინიგზის მაგისტრალურ ლიანდაგზე საკუთარი ხარჯებით.
3. თითოეულ ლოკომოტივზე შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება სატაციონალური შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დეფექტების სრული აღმოფხვრის შემდეგ.
4. თითოეული ლოკომოტივის რემონტის დასრულების ვადად ჩაითვლება დეპოში (შემსყიდველის ტერიტორია) მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.
5. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და უშუალოდ დაესწროს ლოკომოტივების შეკეთების პროცესს საკუთარი ხარჯებით.

<u>მომსახურების განხორციელების საგარანტიო პირობები:</u>

1. ლოკომოტივის ექსპლუატაციაში გაშვება უნდა განხორციელდეს მიწერის დეპოში ლოკომოტივის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. ლოკომოტივის მოდერნიზაციით გათვალისწინებულ აგრეგატებსა და მოწყობილობებზე,რომლებიც არ არის გათვალისწინებული ЦТ/ЦТВР – 409 ძირითადი პირობები“-ს (2003 წლის რედაქცია) დანართი#4-ით, საგარანტიო ვადები განისაზღვრება ქარხანა-მწარმოებლის მიერ მითითებული ვადით.

3. შეკეთებული ლოკომოტივების ცალკეული კვანძების, აგრეგატებისა და დეტალების საგარანტიო ვადები განისაზღვრება „ЦТ/ЦТВР – 409 ძირითადი პირობები“-ს (2003 წლის რედაქცია) დანართი#4-ით. შემსყიდველის მიერ რემონტისა და ექსპლუატაციის ტექნიკურ დოკუმენტაციაში არსებული ყველა ნორმების დაცვის შემთხვევაში, ლოკომოტივის ცალკეული კვანძების, დეტალების და აგრეგატების საგარანტიო ვადაში დაზიანებისას, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ძალებითა და ხარჯით აღმოფხვრას დაზიანება შემსყიდველის ტერიტორიაზე ან საჭიროების შემთხვევაში დაზიანებ(ებ)ის აღმოსაფხვრელად ვალდებულია კვანძების, აგრეგატებისა და მოწყობილობების ტრანსპორტირება განახორციელოს შემკეთებელ ქარხანაში და უკან საკუთარი ხარჯებით.

4. საგარანტიო ვადის ათვლა გარემონტებულ ლოკომოტივზე დაიწყება ლოკომოტივის ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან, მომსახურების განხორციელების საგარანტიო პირობების პირველ პუნქტში გათვალისწინებული ვადების მიხედვით.

5. შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადის ფარგლებში, რაიმე დეფექტის/დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, (მიმწოდებლის მიზეზით (ლოკომოტივზე უხარისხო რემონტის გამო)) ,,შემსყიდველი” 3 სამუშაო დღის ვადაში დეფექტის/დაზიანების აღმოჩენიდან, ან ლოკომოტივის გზაში მსვლელობისას დაზიანების გამო დეპოში შემოსვლის შემდეგ, ვალდებულია გამოიძახოს ”მიმწოდებლის” წარმომადგენელი დეფექტის/დაზიანების წარმოქმნის მიზეზის განსაზღვრისა და სარეკლამაციო აქტის შედგენაში მონაწილეობისათვის.

6. შეტყობინების მიღების შემდგომ მიმწოდებელმა არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა გამოაგზავნოს თავის წარმომადგენელი დეპოში ან უნდა განაცხადოს თანხმობა თავისი წარმომადგენლის გარეშე ცალმხრივად რეკლამაციის აქტის შედგენის შესახებ.

7. თუ შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებლი არ მოავლენს თავის წარმომადგენელს, შემსყიდველს უფლება აქვს რეკლამაციის აქტი შეადგინოს ცალმხრივად, მიმწოდებლის წარმომადგენლის გარეშე.

8. დეფექტური კვანძების, აგრეგატების, დეტალების და მოწყობილობების მოხსნა და დაშლა არ უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის წარმომადგენლის ჩამოსვლამდე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა, რომელთა შეცვლის უფლება აქვს შემსყიდველს (დეპოს), ისე, რომ არ დაელოდოს მიმწოდებლის წარმომადგენლის ჩამოსვლას, კერძოდ: წევის ძრავის ბლოკი, დამხმარე ელექტრული მანქანები, კომპრესორები.

9. მოხსნილი კვანძები, აგრეგატები და აპარატები არ უნდა დაიშალოს მიმწოდებლის წარმომადგენლის დადგენილ ვადაში ჩამოსვლამდე, გარდა შემთხვევებისა, როცა საჭიროა საგარანტიო კვანძის დაშლა გადასარბენებზე ან სადგურში/დეპოში ლოკომოტივის ტრანსპორტირებისათვის.

10. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეთანხმდებიან დეფექტის მიზეზის ბრალეულობის დადგენაზე, ,,მიმწოდებლის” წარმომადგენელი ვალდებულია მოაწეროს ხელი რეკლამაციის აქტს თავისი განსაკუთრებული მოსაზრების შესახებ ჩანაწერის გაკეთებით.

11. განსაკუთრებული მოსაზრება უნდა ჩაიწეროს ცალკე ფურცელზე და დანართის სახით დაერთოს რეკლამაციის აქტის ყველა ეგზემპლარს, რომელშიც კეთდება აღნიშვნა განსაკუთრებული მოსაზრების არსებობის თაობაზე. ამ შემთხვევაში ,,შემსყიდველი” რეკლამაციის აქტს დანართის სახით მიაკრავს თავის განმარტებას ,,მიმწოდებლის” წარმომადგენლის განსაკუთრებული მოსაზრების თაობაზე.

12. 11 პუნქტის დადგომის შემთხვევაში ბრალეულობის დადგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნას აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის (მათ შორის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და/ან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სასერტიფიკაციო ორგანოს „ენერგოაუდიტი“ და „დიაგნოსტიკა“) შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი.

13.,მიმწოდებლის” მიზეზით დაშვებული შეთანხმებული/აღიარებული რეკლამაციის აქტში (მათ შორის, რომელიც შედგენილია ,,მიმწოდებლის” წარმომადგენლის გარეშე) ნაჩვენები დეფექტები, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია დეპოს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შეიძლება აღმოიფხვრას ადგილზე ,,მიმწოდებლის” ძალებით, ,,შემსყიდველის” მონაწილეობის გარეშე. როგორც გამონაკლისი, დასაშვებია დეფექტების აღმოფხვრა ,,შემსყიდველის” ძალებით ,,მიმწოდებლის” მიერ ხარჯების დაფარვით. იმ შემთვევაში, თუ დეპოს პირობებში შეუძლებელია შეკეთების განხორციელება, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით

მიმწოდებელს გადაეცემა შესაკეთებელი ობიექტი.

14. სარეკლამაციო ობიექტი მიმწოდებელს მისი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში გადაეცემა მიღება-გადაცემის აქტით. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-გადაცემის აქტის ან/და შეთანხმებული/აღიარებული (მიმწოდებლის მიზეზით ცალმხრივი ან ორმხრივი) რეკლამაციის აქტის შედგენიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება და დაბრუნება საკუთარი ხარჯით. აგრეთვე მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ სარეკლამაციო აქტის და ანგარიშის წარდგენის საფუძვლზე სარეკლამაციო კვანძების, დეტალების, მოწყობილობების და აგრეგატების მოხსნა-დაყენების ხარჯები, კერძოდ:

- წევის ძრავის ბლოკის მოხსნა-დაყენება - 1963,40ლარი დღგ-ს გარეშე,
- წევის ძრავის ბლოკის და წყვილთვალის მოხსნა-დაყენება - 2125,80 ლარი დღგ-ს გარეშე,
- მოტორ-გენერატორის მოხსნა-დაყენება - 554,60 ლარი დღგ-ს გარეშე,
- მოტორ-ვენტილატორის მოხსნა-დაყენება - 321,68 ლარი დღგ-ს გარეშე,
- მოტორ-კომპრესორის მოხსნა-დაყენება - 323,24 ლარი დღგ-ს გარეშე
- კომპრესორის კტ6 მოხსნა-დაყენება - 438,08 ლარი დღგ-ს გარეშე.
- კომპრესორის კ2 მოხსნა-დაყენება - 158,72 ლარი დღგ-ს გარეშე.
- ბარბაცა საკისურის მოხსნა-დაყენება - 72,05 ლარი დღგ-ს გარეშე.
- დგუშის და ცილინდრის მოხსნა-დაყენება - 374,56 ლარი დღგ-ს გარეშე.
- მთავარი გენერატორის მოხსნა - 1023,72 ლარი დღგ-ს გარეშე.
- ორმანქანიანი აგრეგატის მოხსნა დაყენება - 103,16 ლარი დღგ-ს გარეშე.
- საწვავის მიმტუმბი ტუმბოს მოხსნა დაყენება - 80,74 ლარი დღგ-ს გარეშე.
- წყლის ტუმბოს მოხსნა-დაყენება - 158,72 ლარი დღგ-ს გარეშე.
- ტურბოჰაერმბერის მოხსნა - 214,28 ლარი დღგ-ს გარეშე.
- წევისძრავის ტ006 ბლოკის და წყვილთვალის მოხსნა-დაყენება - 1388,84 ლარი დღგ-ს გარეშე.
- წევისძრავის ტ006 ბლოკის მოხსნა - 1190,40 ლარი დღგ-ს გარეშე.
- ჰიდრორედუქტორის მოხსნა-დაყენება - 112,68 ლარი დღგ-ს გარეშე.
- დიზელის ძრავის მოხსნა-დაყენება - 8518.52 ლარი დღგ-ს გარეშე.
- ზეთის ტუმბოს მოხსნა-დაყენება - 115,88 ლარი დღგ-ს გარეშე.

15. აღიარებულ/შეთანხმებულ სარეკლამაციო აქტში დაფიქსირებული დეფექტების გამო ლოკომოტივის მოცდენის დღიდან, მიმწოდებელთან ქარხანაში ან შემსყიდველთან დეპოს პირობებში დეფექტების აღმოფხვრის დღემდე, მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია ყველა გადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული ლოკომოტივის შეკეთების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 1%-სა. ლოკომოტივის ან/და მისი კვანძების წაღების შემთხვევაში პრეტენდენტამა უნდა წარმოადგინიოს აუდიტის მიერ შეფასებული საგარანტიო თანხა .

16. ლოკომოტრივის მოცდენის ათვლა აღირიცხება რემონტისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (მომსახურების განხორციელების საგარანტიო პირობების მე-14 პუნქტის შესაბამისად).

17. ლოკომოტივზე მიმწოდებლის ბრალეულობით წარმოქმნილი დეფექტის შემთხვევაში, საგარანტიო პერიოდი ხანგრძლივდება დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო დროით და მიწერის დეპოში ტრანსპორტირებისათვის გახარჯული დროით.

3. <u>წინადადების ფასი და მოწოდების პირობა:</u>

3.1. წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს **ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული** ყველა გადასახდელის გათვალისწინებით. წინადადების ფასი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე;

3.2. ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

3.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება წინადადების ფასის დღგ-ს შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.4. **გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება <u>აშშ დოლარში, ელექტრონული ვაჭრობის დღეს</u>** ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული **ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად,** ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (რეზიდენტი პირების შემთხვევაში) მიღება-ჩაბარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული **ოფიციალური გაცვლითი კურსის** შესაბამისად;

3.5. წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;

3.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

3.7. პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, რომელიც შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;

4. <u>მომსახურების გაწევის ვადა და ადგილები:</u>

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში;

ვადა თითოეულ შესაკეთებელ ლოკომოტივზე განისაზღვრება მიღება-გადაცემის აქტის შედგენის დღიდან არაუმეტეს 160 (ასსამოცი) კალენდარული დღით. ამასთან მიმწოდებელი ვალდებულია არანაკლებ 2 ცალი შესაკეთებელი ელმავლის და 2 ცალი თბომავლის წაყვანა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში; ხოლო დანარჩენი ლოკომოტივების წაყვანა უნდა განახორციელოს პირველი ეტაპით გათვალისწინებული ლოკომოტივების წაყვანის შემდეგ ყოველთვიურად არანაკლებ 2 ელმავლის და 1 თბომავლის ოდენობით, მიმწოდებელს შემსყიდველთან შეთანხმების შემთხვევაში აქვს უფლება ერთდროულად განახორციელოს რამდენიმე ლოკომოტივის წაყვანა. ლოკომოტივების წაყვანის გრაფიკი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4.2 **მომსახურება გაწეული/გასაწევი საქონლის მიწოდების ადგილები:** ქ. თბილისი, გუმათჰესის N89 (თბილისის მახარისხებელი სალოკომოტივო დეპო);
ქ.ხაშური თევდორე მღვდლის N1 (ხაშურის სალოკომოტივო დეპო)
ქ.სამტრედია სოფელი ეწერი (სამტრედიის სალოკომოტივო დეპო)

5. <u>ანგარიშსწორების პირობები:</u>

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

ამასთან, დასაშვებია ანგარიშსწორება განსხვავებული პირობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ, სს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართავს და წარუდგენს წერილობითი ფორმით მოთხოვნას (დანართი N7) განსხვავებული პირობით ანგარიშსწორების შესახებ. განსხვავებული პირობით ანგარიშსწორება გულისხმობს შემდეგს:

- ✓ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან (იგულისხმება კომპანიის კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- ✓ მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით 10 000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები;
- ✓ ნაკლებ ვადაში (10 საბანკო დღე მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან) ანგარიშსორებისას მიმწოდებელს საკომისიოს სახით გაექვითება ანაზღაურების მოთხოვნით (მზადდება შემსყიდველის მიერ) განსაზღვრული გასაცემი თანხიდან მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ნაწილის 1,73% და აისახება კომპანიის სასარგებლო დამატებით შემოსავლად

6. <u>შემკეთებელი საწარმოს გამოცდილება:</u>

6.1 (შესაბამის) შემკეთებელ საწარმოს ბოლო 5 წლის განმავლობაში (2019 წლიდან) უნდა გააჩნდეს არანაკლებ 10 ცალი „ვლ“ სერიის მაგისტრალური მიმოსვლის ელმავლის (ნაწარმოები/აშენებული არაუადრეს 1980 და არაუგვიანეს 2000 წლებისა) და არანაკლებ 5 ცალი „ჩმე“ სერიის სამანევრო თბომავლის (ნაწარმოები/აშენებული არაუადრეს 1980 და არაუგვიანეს 2000 წლებისა) ,,კრ-2“ მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების გამოცდილება, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები: (ხელშეკრულებ(ები)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში, შესაბამის ლოკომოტივ(ებ)ზე კრ-2 მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების შესრულების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი) ან/და აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ მითითება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის შესყიდვის ნომრებზე (მაგ: NAT/CMR/SPA და ა.შ). აგრეთვე, უნდა წარმოადგინოს წარმოდგენილი ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში გაცემული დადებითი სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი;

6.2 შემკეთებელ საწარმოს უნდა გააჩნდეს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ან/და აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული ატესტატი/დამღა ან/და სარკინიგზო ადმინისტრაციის მიერ გაცემული ატესტატი/დამღა ვლ-10 / 11 და ჩმე-3 სერიის ლოკომოტივის „კრ-2“ მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების მომსახურების გაწევის წარმოებაზე/უფლებაზე ან დარეგისტრირებული უნდა იყოს თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს ერთიან რეესტრში; აღნიშნული დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს როგორც შემკეთებელი საწარმოს უფლება „კრ-2“ მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების მომსახურების გაწევაზე, ასევე უშუალოდ შემკეთებელი საწარმოს ის კონკრეტული ტერიტორია, სადაც უნდა განხორციელდეს კაპიტალური შეკეთების მომსახურება.

6.3 იმ შემთხვევაში თუ შემკეთებელი საწარმო დარეგისტრირებულია თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს ერთიან რეესტრში, პრეტენდენტმა

დამატებით უნდა უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შესყიდვის ობიექტით განსაზღვრული ვლ-10 / 11 და ჩმე-3 სერიის ლოკომოტივის ,,კრ-2“ მოცულობის საქარხნო კაპიტალური შეკეთების შესრულების განხორციელების თაობაზე შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოდგენა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ 6.2 და 6.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის მოქმედების ვადა ნაკლები იქნება 4.1 პუნქტში მითითებული მომსახურების განხორციელების ვადაზე (ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 კალენდარული თვე), მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება დაასრულოს 6.2 და 6.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების მოქმედების პერიოდში ან აღნიშნული დოკუმენტების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს ახალი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ელექტრონული პროცედურით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და რომელიც მოქმედი იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ წარმოადგენს ახალ დოკუმენტაციას შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევაზე და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. სხვა მოთხოვნა:

7.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წინადადება;

7.2 **სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები, რეკვიზიტები და ა.შ.) ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სავალდებულოა დამოწმებული/დადასტურებული იყოს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. ამასთანავე, ხელმოწერა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა).**

7.3 **,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნტქით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებლებზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება №24, 15.01.2021წ.)**

7.4 დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი,“ ,,ანალოგი“ ან „ეკვივალენტური“;

7.5 წინადადება ძალაშია შემდეგი სტატუსების დადგომამდე: შესყიდვის ელექტონული პროცედურა დასრულებულია უარყოფითი შედეგით ან შეწყვეტილია ან დადებული ხელშეკრულება;

7.6 შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან;

7.7 **სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ, ან/და რუსულ, ან/და ინგლისურ ენაზე; დოკუმენტების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დოკუმენტთან დაკავშირებული სადავო საკითხ(ებ)ის გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ნოტრაიულად დამოწმებულ ქართულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.**

8.პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები :

8.1 მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 450 ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, **კოდი: TBCBGE22**, ანგარიშის **№ GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL;** ან შესაბამისი ექვივალენტი **აშშ დოლარში** ან **ევროში** (უცხოურ ვალუტაში გადახდის შემთხვევაში, საკომისიო თანხა გადახდილ უნდა იქნას გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) შემდეგ რეკვიზიტებზე:

აშშ დოლარისათვის/Для Долларов США

INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA;
SWIFT: CITIUS33
BENEFICIARY BANK JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch
SWIFT: TBCBGE22
№7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge
Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774

ევროსათვის/Для Евро:

INTERMEDIARY: DEUTSCHE BANK A.G.
FRANKFURT/MAIN, GERMANY
SWIFT: DEUTDEFF. **BLZ**: 50070010
BENEFICIARY BANK -"JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch
SWIFT: TBCBGE22
№7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge

SWIFT: TBCBGE22850
BEN'S Account: GE11TB1100000112070112
NAME OF BENEFICIARY: "GEORGIAN RAILWAY" JSC
Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774
SWIFT: TBCBGE22850
BEN "S Account: Account № GE11TB1100000112070112 EUR
BENEFICIARY: „Georgian Railway" JSC

8.2 შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 5%-ის **(2 700 000 ლარი)** ოდენობით, ხოლო აღნიშნული საბანკო გარანტიის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენის შემთხვევაში, საგარანტიო თანხა წარმოდგენილ უნდა იქნეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის გამოცხადების დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზინდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) მიერ გაცემული წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია რომელ(ებ)იც უნდა იქნეს დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 კალენდარული დღე წინადადების მიღების დაწყების დღიდან **(დანართი #3-ის შესაბამისად, არსებითი პირობების დაცვით);**

8.3 ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად, განსაკუთრებული მოთხოვნების გათვალისწინებით;

8.4 ინფორმაცია სასურველი ფორმით ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შესახებ (მუხლი 10).

8.5 პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №2-ის შესაბამისად;

8.6 გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (პუნქტი 6);

8.7 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი უშუალოდ არ არის შემკეთებელი საწარმო, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტსა და შემკეთებელ საწარმოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

შენიშვნა:

1. **სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი,ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები, რეკვიზიტები და ა.შ.) ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სავალდებულოა დამოწმებული/დადასტურებული იყოს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. ამასთანავე, ხელმოწერა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა).**
2. **,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნტქით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად" რეგისტრირებულ არარეზიდენტ მომხმარებლებზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება №24, 15.01.2021წ.)**

<u>9. შემსყიდველ ორგანიზაციაში დედნის სახით (ხელზე) წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

9.1 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების მიღების დამთავრებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველ ორგანიზაციაში (მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, სს ,,საქართველოს რკინიგზის" კანცელარია) წარმოადგინოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტია (პუნქტი 8.2);

9.2 დაკორექტირებული ფასების ცხრილი აშშ დოლარში, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად;

9.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, შემსყიდევლის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ დედნის სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

<u>10. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი:</u>

10.1 **საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების გარანტია:** გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს უპირობო, გამოუთხოვადი, **გარანტია (აშშ დოლარში), სახელშეკრულებო თანხის 5% ოდენობით,** მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ. არარეზინდენტი პირების მიერ დასაშვებია უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების **(მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან)** მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია რომელ(ებ)იც უნდა იქნეს

დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა 50 (ორმოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას **(დანართი N4)**;

10.2 **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში**

- გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იღებს ვალდებულებას, შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე, უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო გადარიცხვის გზით, განათავსოს თანხა ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიერ გადმორიცხვის ოპერაციის დასრულების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით;
- საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL, ხოლო არარეზიდენტმა პირმა აშშ დოლარში შემდეგ ანგარიშზე INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA; SWIFT: CITIUS33 BENEFICIARY BANK JSC "TBC Bank" Head Office and Marjanishvili Branch SWIFT: TBCBGE22 №7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774 SWIFT: TBCBGE22850 BEN'S Account: GE11TB1100000112070112 NAME OF BENEFICIARY: "GEORGIAN RAILWAY" JSC.

საგარანტიო თანხის ჩარიცხვის პირობები მოცემულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლში

<u>11. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად:</u>

11.1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

11.2 ცნობა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

- აღნიშნული დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს წინამდებარე შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების მიღების დაწყების თარიღის შემდეგ; არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გაცემული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის ან/და ლიკვიდაციის ან/და გადახდისუუნარობის (რომ იურიუდიული პირის ქონებაზე არ ფიქსირდება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღა, უფლების განკარგვის შეზღუდვა ან/და აკრძალვა) საქმის წარმოების შემთხვევაში კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს პრეტენდენტი ტვირთავს სისტემის შესაბამის ველში;

<u>12. ინფორმაცია ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეთათვის:</u>

12.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება, წინადადების მიღების ვადის დაწყების ეტაპიდან წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე;

12.2 დაინტერესებულმა პირმა, შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს აფიდავიტის ტექსტზე დათანხმება და შემდგომ გადაიხადოს ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობის საფასური (50 ლარი) ელექტრონულად (სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად);

12.3 ზემოაღნიშნული 12.1 და 12.2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების შემდგომ პრეტენდენტი ვალდებულია ატვირთოს (**მხოლოდ სისტემის მეშვეობით) ამავე დოკუმენტაციით მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ასატვირთი დოკუმენტები;**

12.4 ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვის შემდგომ პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები;

12.5 შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების წესი და პირობები **დანართი №5** (**სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ შესაბამისად).**

საკონტაქტო პირები:

სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი:
გიორგი გურგენიძე ტელ: (995 32) 219-90-14; ელ_ფოსტა: Giorgi.Gurgenidze@railway.ge ;

მთავარი სპეციალისტი: ელენა მურადოვა ტელ: (995 32) 219-98-27; 593-14-47-21
მთავარი სპეციალისტი: კახა ბერძენიშვილი ტელ: (995 32) 219-97-75; 595-99-35-82
მთავარი სპეციალისტი: მედეა ყანჩაველი ტელ: (995 32) 219-91-04; 558-99-85-66
მთავარი სპეციალისტი: ესტატე ბაინდურაშვილი ტელ: (995 32) 219-98-27; 597-77-77-29

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დაუკავშირდით ლევან კობერიძეს ტელ: 577 01 36 06

დანართი N2

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ.	

** აღნიშნული დანართი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.*

დანართი N3

ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

ვითვალისწინებთ რა, რომ _____
(პირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)

(შემდგომში "პრეტენდენტი") მზად არის წარმოადგინოს თავისი წინადადება _____ კომისიის მიერ _____ შესყიდვაზე
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება) (საქონლის დასახელება)

გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენ _____(შემდგომში "ბანკი")
(ბანკის დასახელება)

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას სს „საქართველოს რკინიგზა"-ს (შემდგომში "შემსყიდველი") წინაშე, რომლის მიხედვითაც
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის _____ გადახდას
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ წინადადების წარდგენის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობაზე, თავისი წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან, სს „საქართველოს რკინიგზისა" და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის" საფუძველზე, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;
4. თუ პრეტენდენტმა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში არ წარმოადგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ან **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე არ განათავსა თანხა.**

გარანტია ძალაში რჩება _____მდე* .
(თარიღი)

გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 დღე ელექტრონულ პროცედურაში წინადადების მიღების დაწყების დღიდან;

საბანკო დაწესებულება უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

_____
(ხელმოწერა)

_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დამოწმებულია ბანკის ბეჭდით _____ _____ 2024__ წ.

დანართი N4

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(გარანტია)

ნიმუში

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ელექტრონულ პროცედურაში წარდგენილი თავისი

(დასახელება)

წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელზე ზემოთ აღნიშნული **(საბანკო)** გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელით საერთო თანხაზე _____ აშშ დოლარი და ვკისრულობთ ზემო

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის (მიმწოდებლი) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის (შემსყიდველი) მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპიალსა (მიმწოდებლი) და ბენეფიციარს (შემსყიდველი) შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის (მიმწოდებლი) მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი თხოვნა ან პრეტენზია, წარმოდგენულ უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე _____*(ბანკის დასახელება/ფილიალი, მისამართი)*_____.

გარანტია ავტომატურად უქმდება

- გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის (შემსყიდველი) მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

***წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა 50 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების საბოლოო შესრულები ვადას.**

დანართი №5

სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიებისა და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი (შემდგომში – წესი) ადგენს ამ წესის დანართით განსაზღვრული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვების სპეციალურ წესს.

2. ამ წესის მიზანია:

ა) შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

გ) შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა.

3. შესყიდვების განხორციელებისას, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების მიერ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის პროცედურები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. შესყიდვა, რომელზეც არ ვრცელდება ეს წესი, რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შემსყიდველი** – სს „საქართველოს რკინიგზა“ და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული იურიდიული პირები და ასეთი იურიდიული პირების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული იურიდიული პირები;

ბ) **შესყიდვა** – შემსყიდველის სახსრებით, ამ წესის დანართით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა (დანართი შედგება 6 ნაწილისაგან, რომლებიც ცალ-ცალკე განსაზღვრავენ იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს, რომელთა შესყიდვის უფლებამოსილება აქვს სს „საქართველოს რკინიგზას“, მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ასეთი იურიდიული პირების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ამ წესით განსაზღვრული პროცედურებისა და პირობების შესაბამისად)

გ) **ერთ პირთან მოლაპარაკება** – შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) **გადაუდებელი აუცილებლობა** – ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველის ქმედებით ან, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს შემსყიდველის ინტერესებს ან მის ქონებას;

ე) **სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა** – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში – სისტემა);

ვ) **შესყიდვის ელექტრონული პროცედურა** – ამ წესის დანართით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების საშუალება, რომლის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება ამ წესით (ამ წესით განსაზღვრული წინადადებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიების მიზნებისათვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ტერმინი – „ტენდერი“);

ზ) **მონაწილეობის საკომისიო** – ამ წესის მე-15 მუხლით განსაზღვრული საკომისიო, რომელიც გადაიხდება შემსყიდველის ანგარიშზე;

თ) **პრეტენდენტი** – პირი, რომელმაც შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა მონაწილეობის საკომისიო;

ი) **მიმწოდებელი** – პირი, რომელთანაც შემსყიდველის მიერ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის შედეგად გაფორმებულ იქნა შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;

კ) **წინადადების ფასის კლების ბიჯი** – შემსყიდველის მიერ განცხადებაში მითითებული თანხა, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2

პროცენტამდე ოდენობით (შემდგომში – ბიჯი);

ლ) **წინადადება** – ამ წესის მოთხოვნათა დაცვით, სისტემის მეშვეობით, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და სისტემის შესაბამის ველში მითითებული, პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ფასი;

მ) **ტექნიკური დოკუმენტაცია** – პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია შემსყიდველის მიერ განცხადებითა და დოკუმენტაციით;

ნ) **ელექტრონული ვაჭრობა** – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული შესყიდვის შემადგენელი პროცედურა, რომლის დროსაც პრეტენდენტს სისტემის საშუალებით შეუძლია, შეამციროს მის მიერ წარდგენილი წინადადების ფასი, შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით;

ო) **სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები** – შემსყიდველის მიერ დოკუმენტაციით დადგენილი, პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან და სასამართლოდან წარსადგენი დოკუმენტები. ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ან ტოლია 200 000 ლარისა (დღგ-ის გარეშე), სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება. მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით;

პ) **წინადადების უზრუნველყოფის გარანტია** – წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი გარანტირების მექანიზმი, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით (შემდგომში – გარანტია);

ჟ) **შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დასრულებულია უარყოფითი შედეგით** – შესყიდვის ელექტრონული პროცედურა ითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, როდესაც შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რითაც დასტურდება, რომ წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია;

რ) **შესყიდვის ელექტრონული პროცედურა არ შედგა** – შესყიდვის ელექტრონული პროცედურა ითვლება არშემდგარად, როდესაც არცერთმა პირმა არ მიიღო მონაწილეობა შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში;

ს) **შესყიდვის ელექტრონული პროცედურა შეწყვეტილია** – შესყიდვის ელექტრონული პროცედურა ითვლება შეწყვეტილად, როდესაც შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ აიტვირთება კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი;

ტ) **შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება** – ამ წესის შესაბამისად, გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების ღირებულება, რომელიც მითითებულია კონკრეტული შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესაბამის ველში;

უ) **მრავალწლიანი შესყიდვა** – შესყიდვა რომლის დროსაც გადახდა ხორციელდება ორი ან მეტი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხორციელდება მომდევნო **საბიუჯეტო წლის განმავლობაში;**

ფ) **კომისია** – შემსყიდველის გადაწყვეტილებით, შემსყიდველის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ამ წესის დაცვით, შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) ამ წესის შესაბამისად, მოახდინოს პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;

გ) ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე;

დ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) რაციონალურად განახორციელოს შესყიდვები ბიზნესგეგმის ფარგლებში, ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების ღირებულება;

გ) შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის შემთხვევაში, არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, აცნობოს ეს გადაწყვეტილება ყველა პრეტენდენტს. ამასთან, ამ შემთხვევაში, შემსყიდველი არ არის ვალდებული, პრეტენდენტებს წარუდგინოს რაიმე მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი არ არის ვალდებული, პრეტენდენტებს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან ან/და ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

1.ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;

ბ) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოლაპარაკების გამართვას;

გ) ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.

4. დაუშვებელია, რომ შესყიდვის მომზადება, განხორციელება ან/და მასზე ზედამხედველობა დაეკისროს პირს ან კონსულტანტად (ექსპერტად) მოწვეულ იქნას პირი, თუ იგი:

ა) ფიზიკური პირია და არის შესყიდვის მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელის ახლო ნათესავი;

ბ) პირადი ინტერესით დაკავშირებულია ან ასეთი კავშირის დასამყარებლად მოლაპარაკებას აწარმოებს შესყიდვის მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან.

მუხლი 5. შესყიდვების დაგეგმვა

1. შემსყიდველი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.

2. მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო წლის გეგმაში.

3. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად იმ შემთხვევაში, თუ მისი დაფინანსება ხორციელდება მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან, ხოლო მიწოდება ან/და ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება მომდევნო წლის განმავლობაში.

4. მრავალწლიანი შესყიდვების განხორციელების საკითხს შესყიდვის პროცედურების დაწყებამდე ითანხმებს სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭო.

მუხლი 6. შესყიდვის საშუალებები

1. ამ წესის დანართით განსაზღვრული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით.

2. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, შემსყიდველის მიერ შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს:

ა) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით;

ბ) სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია, შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;

გ) კომპანიის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, შესყიდვის მიზანშეწონილობის შემთხვევაში, თუ შესყიდვა ეხება მომსახურების სფეროს, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. ამ წესის დანართით განსაზღვრული შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების მე-8, მე-9 და მე-11 პოზიციებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ დირექტორის გადაწყვეტილებით, ხოლო ხელშეკრულება გაფორმებულ უნდა იქნეს ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან.

მუხლი 7. კომისია

1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას ატარებს კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველის ხელმძღვანელი.

2. კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

3. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მიწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

4. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. ყველა ის სხდომის ოქმი, რომელიც შეიქმნება, ატვირთულ უნდა იქნეს სისტემაში. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემაში უკვე ატვირთული ოქმის გაუქმებითა და შეცვლილი, დამატებული ოქმის სისტემაში ატვირთვის გზით.

6. შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის ნებისმიერი მიმოწერა/წერილობითი შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/წერილობითი შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის. მიმოწერა/წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

მუხლი 8. კომისიის აპარატი

1. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველის ხელმძღვანელის ბრძანებით, შემსყიდველის თანამშრომელთა შემადგენლობით იქმნება კომისიის აპარატი (შემდგომში – აპარატი), რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. აპარატის ფუნქციაა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ განცხადების, დოკუმენტაციისა და შესყიდვის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ორგანიზაციული საკითხის მოგვარების უზრუნველყოფა.

3. აპარატს უფლება აქვს, მიაწოდოს პრეტენდენტებს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის ელექტრონულ პროცედურებთან დაკავშირებით.

4. აპარატი ვალდებულია, ყოველი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის შენახვა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო მრავალწლიანი შესყიდვის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან ერთი წლის, თუმცა ხელშეკრულების დადებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 9. განცხადება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ

1. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ განცხადების (შემდგომში – განცხადება) შევსება და განთავსება ხდება სისტემის მეშვეობით. წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების ვადის ათვლა იწყება განცხადების სისტემაში განთავსებიდან.

2. განცხადებისა და დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 კალენდარულ დღეს განცხადებისა და დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან არანაკლებ 2 დღის განმავლობაში, პრეტენდენტს შეუძლია, სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ბიჯის გათვალისწინებით.

3. განცხადებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) განცხადების ნომერი;

ბ) შემსყიდველის დასახელება;

გ) გამოცხადების თარიღი, ზუსტი დროის მითითებით;

დ) წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი, ზუსტი დროის მითითებით;

ე) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;

ვ) მითითება იმის შესახებ, რომ წინადადება წარდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით, თუ მის გარეშე;

ზ) შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;

თ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;

ი) ბიჯის ოდენობა.

4. განცხადებაში, შესაბამისი მითითების საფუძველზე, პრეტენდენტთა მიერ წინადადების ფასის წარდგენა ხდება დღგ-ის გათვალისწინებით ან მის გარეშე.

5. განცხადებას აქვს დამატებითი ინფორმაციის ველი, რომელიც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, შესყიდვის

ობიექტის დამატებითი აღწერის მიზნით.

6. განცხადების სისტემაში განთავსებისთვის აუცილებელია დოკუმენტაციის ატვირთვა სისტემაში.

7. შემსყიდველის გადაწყვეტილებით, განცხადება და დოკუმენტაცია შესაძლოა განთავსდეს დამატებით სხვა უცხო ენაზეც (რუსული ან/და ინგლისური). თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 500 000 ლარს, დღგ-ის გარეშე, მათი უცხო ენაზე განთავსება სავალდებულოა.

მუხლი 10. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება და დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა

1. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

ბ) შესასყიდი საქონლის რაოდენობას, მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;

გ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს (მათი არსებობის შემთხვევაში);

დ) მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული წინადადების ღირებულება იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);

ე) კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესახებ;

ვ) მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის და/ან ნიმუშის ექსპერტიზის წარდგენის შესახებ (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში).

2. კომისიას უფლება აქვს, წინადადების მიღების დროის დაწყებამდე შეიტანოს ცვლილება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებში. დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია დოკუმენტაციის გაუქმებითა და შეცვლილი, დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ცვლილება.

მუხლი 11. წინადადების წარდგენა

1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება წინადადების მიღების ვადის დაწყების ეტაპიდან წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე.

2. წინადადების წარდგენამდე ნებისმიერ პირს უფლება აქვს, სისტემაში გაეცნოს განცხადებასა და დოკუმენტაციას.

3. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით. პრეტენდენტის შეთავაზება, გარდა ტექნიკური დოკუმენტაციით მოთხოვნილი მასალისა, უნდა შეიცავდეს ამ წესით გათვალისწინებულ გარანტიასა და მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვის შემდგომ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლა, დამატება, გაუქმება ან წაშლა.

5. იმ შემთხვევაში, თუ განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს წინადადების ფასის დღგ-ის შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. ელექტრონული ვაჭრობის წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ და შესყიდვის ობიექტის აღწერის წესი

1. შემსყიდველი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილია, განსაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.

3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარდგენის ვალდებულებას განსაზღვრავს დოკუმენტაციაში. პრეტენდენტის მიერ ნიმუშის წარუდგენლობა ან მისი შეუსაბამობა განცხადების ან/და დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, ან სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის

დისკვალიფიკაციას, ამ წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედებით. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება. პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში უბრუნდება გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნიმუში მალფუჭებადი ნივთია და/ან, მისი ბუნებიდან გამომდინარე, დაბრუნება შეუძლებელია.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობასთან/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები და სხვ.).

5. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში:

ა) მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში, შესყიდვის ობიექტის აღწერისას, აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „მსგავსი“, „ეკვივალენტური,“ „ანალოგი“ და სხვა;

ბ) გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

მუხლი 13. შერჩევა/შეფასება

1. კომისიის მიერ პრეტენდენტთა შეფასება ხდება წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში), ამავე პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

2. ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. ამ პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ (ებ)ი. შემსყიდველი შერჩევის პირველ ეტაპზე ადგენს წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ატვირთული მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და გარანტიის შესაბამისობას შემსყიდველის განცხადებასა და დოკუმენტაციასთან, ხოლო, თავის მხრივ, პრეტენდენტი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ წინასწარ, შემსყიდველის განცხადებასა და დოკუმენტაციაში განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს გარანტიის დედნის წარდგენა.

3. იმ შემთხვევაში, თუ 2 ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, უპირატესობა ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა წინადადების აღნიშნული ფასი.

4. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მით ით ე ბული იქნ ე ბა სათან ადო ობიე ქტურ ი მიზე ზ(ე ბ)ი, კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სისტემაში განთავსებულ/მოთხოვნილ ტექნიკურ დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილებით, ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს, ასევე პრეტენდენტის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომისას, როგორებიცაა: არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, რომელიც შესაძლებელია, შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. **ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.**

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველი მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველს უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ

გაზრდის წინადადების ფასს. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისია მიმართავს მას სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

8. იმ შემთხვევაში, თუ წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემები შეესაბამება განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის მიერ ხარჯთაღრიცხვის ან/და ფასების ცხრილის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენის მოთხოვნასა და ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად.

9. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შემსყიდველისათვის ხდება **სისტემის მეშვეობით.**

10. თუ წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება განცხადებას ან/და დოკუმენტაციას ან მის მიერ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია, მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნით მიმართოს წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და გარანტია შეესაბამება შემსყიდველის განცხადებასა და დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს. თუ წინადადების მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, კომისიას უფლება აქვს, შეწყვიტოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა.

მუხლი 14. დისკვალიფიკაცია

1. კომისია ახდენს მიმწოდებლის ან/და პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ ოქმი ატვირთულ უნდა იქნეს სისტემაში.

2. მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, ამ წესის მე-13 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება შემსყიდველის განცხადებას ან/და დოკუმენტაციას;

ბ) სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემები არ შეესაბამება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის წინადადებაზე;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას, ამ წესის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის, ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ წარადგენს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში გარანტიის დედანს ან წარადგენს დაგვიანებით;

ვ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ზ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი არ წარადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას და/ან ფასების ცხრილს/ხარჯთაღრიცხვას, უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

თ) თუ ის არ წარადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით.

3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს წინადადების ვადის დასრულების დროისთვის არ ექნება ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნათა სრული დაცვით ატვირთული მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და გარანტია, პრეტენდენტის შეთავაზება არ განიხილება და კომისიას შეუძლია, მიმართოს წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

მუხლი 15. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში წარდგენილი გარანტია (წინადადების უზრუნველყოფის გარანტია) და მონაწილეობის საკომისიო.

1. პრეტენდენტი ვალდებულია, წარადგინოს წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (გარანტია) ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. გარანტია შესაძლოა, გაცემულ იქნეს ლიცენზირებული საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულების მიერ.

2. გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს.

3. გარანტია დაბრუნებას ექვემდებარება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების ან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის უარყოფითი შედეგით დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან/პრეტენდენტისაგან შესაბამისი მოთხოვნიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

4. გარანტია პრეტენდენტს არ დაუბრუნდება, თუ:

ა) გამარჯვების შემდეგ უარს იტყვის ან სხვაგვარი ქმედებით უარს განაცხადებს შემსყიდველთან ხელშეკრულების გაფორმებაზე;

ბ) პრეტენდენტი, გამარჯვების შემთხვევაში, არ წარადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას;

გ) მოხდება მისი დისკვალიფიკაცია შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;

დ) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე.

5. მონაწილეობის საკომისიოს ოდენობა შეადგენს 450 ლარს.

6. მონაწილეობის საკომისიო უკან დაბრუნებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველმა, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 16. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარებისა და ერთ პირთან მოლაპარაკების შედეგად ხელშეკრულების დადება და სისტემაში ატვირთვა

1. ამ წესის შესაბამისად, გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადებით განსაზღვრული პირობებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველს შორის იდება ხელშეკრულება. სისტემაში ატვირთულ უნდა იქნეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.
3. გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის ან მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისიას უფლება აქვს, განიხილოს საუკეთესო ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტის წინადადება ან შეწყვიტოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, ამ წესის შესაბამისად.
4. გარანტირების მექანიზმის მოთხოვნა სავალდებულოა:

ა) თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება. ასეთ შემთხვევაში, გარანტირების მექანიზმის გამოყენება აუცილებელია არანაკლებ წინასწარ გადასახდელი თანხის სრული ოდენობით;

ბ) შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შედეგად დასადები ხელშეკრულების ფარგლებში;

გ) ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 100 000 ლარს.

5. სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენისაგან შესაძლებელია, გათავისუფლდეს პოტენციური მიმწოდებელი, მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.
6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია, წარედგინოს შემსყიდველს, ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო შესყიდვის ელექტრონული პროცედურის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე.
7. ამ წესის დანართით განსაზღვრული შპს „ჯორჯია ტრანზიტისა“ და შპს „ჯიარ ტრანზიტის“ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის პირველი და მე-7 პოზიციებით და ასევე შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინის“ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის პირველი და მე-6 პოზიციებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს გარანტირების მექანიზმის გამოყენების გარეშე.
8. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
9. შემსყიდველს არ აქვს ვალდებულება, ამ წესით განხორციელებულ შესყიდვებზე უზრუნველყოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გეგმის, ფაქტობრივი გადახდებისა და ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების წარდგენა.

დანართი №6

ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ #

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2024 წლის ,,------'' ,,----------''.

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა", წარმოდგენილი მისი ---------- დირექტორის ----------სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ---------- წარმოდგენილი მისი ---------- მისამართი: ---------- (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2024 წლის ---------- გამოცხადდა და ---------- დასრულდა წინადადებების მიღება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაზე **(GEO----------) ---------- მომსახურების შესყიდვის შესახებ,** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება განახორციელოს დანართის ---------- შესაბამისად ---------- მომსახურება **(შემდგომში _ მომსახურება)**.

ტექნიკური დოკუმენტაციის ------- პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2024 წლის---------- (შესყიდვის ელექტრონულიპროცედურის ვაჭრობისდღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD _ ---------- ლარი) მიხედვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს _ ----------აშშ დოლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით----------აშშ დოლარს (შემდგომში - ხელშეკრულებისღირებულება).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარეხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ----------;

გ) ამონაწერი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემიდან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ;

დ) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდიდან ამონაწერი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის შესახებ;

ვ) ხელშეკრულების საერთო პირობები;

ზ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

თ) ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ----------

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სს ,,საქართველოს რკინიგზა"	----------
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი # 15	მისამართი: ----------
სს ,,საქართველოს ბანკი"	ს/კ ----------
ა/აGE09BG0000000128695301	სს ,,---------- ბანკი''
ბანკის კოდი:BAGAGE22	ბანკის კოდი----------
ს/კ 202886010	ანგარიშის #----------
	ტ: ----------
----------	----------
დირექტორი	

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციისა დამომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულებამომსახურების შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის/თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული/;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას მომსახურების შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

6.1 მიმწოდებლი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

8.2 ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

9.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

10. ანგარიშსწორების ვალუტა

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).

10.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

11. ფასები

11.1 მიმწოდებლის დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვა).

14. სუბკონტრაქტორები

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

16.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

16.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

17.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

18.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

19. ფორს-მაჟორი

19.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

19.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. გამოყენებული სამართალი

21.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს

აღნიშნულ პირობებს.

23. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

23.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

23.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და ბაჟები

24.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

24.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს შეიმუშავებს შემსყიდველი ორგანიზაცია. მისი შედგენის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო პირობები და შემსყიდველის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურების გაწევა. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიზანია ყოველი შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების კონკრეტიზაცია, ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება და დაზუსტება. ხელშეკრულების სპეციფიკურ და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.

---

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან:

შემსყიდველი _ სს „საქართველოს რკინიგზა“, წარმოდგენილი მისი ---------- დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. #15.

მიმწოდებელი _ ---------- წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, მისამართი: ----------

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. მომსახურების განხორციელების პირობები და ვადები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილია: ----------

3.5. შემყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ადმინისტრატორს წარმოადგენს ----------

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ განხორციელებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, მომსახურების ფაქტიურად განხორციელების შემდგომ, რომელიც შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.1.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ----------

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ოთხ ეგზემპლიარად, რომლის სამი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მიხედვით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა (დედანი), ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ განხორციელებული მომსახურებან შეესაბამება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.2. განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და გონივრულ ვადაში აღმოფხვრას დეფექტი.

5.3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს

ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაცია.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

ამასთან, დასაშვებია ანგარიშსწორება განსხვავებული პირობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშწორებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ, სს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართავს და წარუდგენს წერილობითი ფორმით მოთხოვნას (დანართი N7) განსხვავებული პირობით ანგარიშსწორების შესახებ. განსხვავებული პირობით ანგარიშსწორება გულისხმობს შემდეგს:

- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან (იგულისხმება კომპანიის კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით 10 000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები;
- ნაკლებ ვადაში (10 საბანკო დღე მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან) ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს საკომისიოს სახით გაექვითება ანაზღაურების მოთხოვნით (მზადდება შემსყიდველის მიერ) განსაზღვრული გასაცემი თანხიდან მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ნაწილის 1,73% და აისახება კომპანიის სასარგებლო დამატებით შემოსავლად.

6.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთანგანხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი),საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6.5. შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

7. <u>ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი:</u>

[საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში]

ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილ უნდა იყოს აშშ დოლარში და რომლის მოქმედების ვადაც 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1 პუნქტით დადგენილ ვადაში სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

7.3 მიმწოდებლის მიერ ან მისი მიზეზით ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე თუ შემსყიდველს შეუძლია ივარაუდოს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულება არ/ვერ შესრულდება, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და გამოიყენებს უპირობოდ.

[ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „შემსყიდველის“ შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში]

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას შემსყიდველის საბანკო ანგარიშზე განათავსოს თანხა ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ის ოდენობით (შემდგომში „უზრუნველყოფის თანხა“), რომელიც გაანგარიშებულ იქნება ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიერ გადმორიცხვის ოპერაციის დასრულების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

7.2 „უზრუნველყოფის თანხის“ განთავსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემსყიდველის შემდეგ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით:

ს/ს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № GE 79 TB 7659 1340 7010 0005 GEL, ხოლო არარეზიდენტმა პირმა აშშ დოლარში შემდეგ ანგარიშზე INTERMEDIARY BANK – CITI BANK N.A., N.Y., USA; SWIFT: CITIUS33 BENEFICIARY BANK JSC “TBC Bank” Head Office and Marjanishvili Branch SWIFT: TBCBGE22 №7 Marjanishvili, Tbilisi, Georgia, www.tbcbank.ge Phone: (995 32) 27-27-27, Fax: (995 32) 772-774 SWIFT: TBCBGE22850 BEN’S Account: GE11TB1100000112070112 NAME OF BENEFICIARY: “GEORGIAN RAILWAY” JSC.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1 პუნქტით დადგენილ ვადაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი უნაღდო ანგარიშწორების გზით, მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მიმწოდებლის წერილობითი მომართვის დღიდან (იგულისხმება სს „საქართველოს რკინიგზის კანცელარიაში მომართვის რეგისტრაციის თარიღი) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში, დაუბრუნებს მიმწოდებელს „უზრუნველყოფის თანხას“ ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის (უკან დაბრუნების) დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

7.4 „მიმწოდებლის“ მიერ ან მისი მიზეზით წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე თუ შემსყიდველს შეუძლია ივარაუდლოს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულება არ/ვერ შესრულდება, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს „უზრუნველყოფის თანხას“ და გამოიყენებს უპირობოდ.

8. პირგასამტეხლო [საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში]

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ საბანკო გარანტიის გამოყენება და დამატებით, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო იქნა გამოყენებული. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია 7.3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების საფუძველზე იქნა გამოყენებული, მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გაანგარიშება განხორციელდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად და შემსყიდველის მხრიდან გაქვითულ იქნება მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხ(ებ)იდან.

8. პირგასამტეხლო [ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „შემსყიდველის“ შესაბამის ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში]

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის თანხის გამოყენება და დამატებით, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის თანხა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო იქნა გამოყენებული. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის თანხა 7.4 პუნქტით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების საფუძველზე იქნა გამოყენებული, მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გაანგარიშება განხორციელდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად და შემსყიდველის მხრიდან გაქვითულ იქნება მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხ(ებ)იდან.

დანართი N7

ფორმა # 1

სს "საქართველოს რკინიგზა"-ს ფინანსურ დირექტორს

მიმწოდებლის დასახელება	ხელშეკრულების ნომერი #	გასაცემი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით, რომელიც უნდა ჩაერიცხოს ანგარიშწორების ვადაზე ადრე
1	2	3

შენიშვნა: ივსება მომწოდებლის მიერ

ხელმოწერა

თარიღი

გასაცემი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით, რომელიც ჩაერიცხა მომწოდებელს ვადაზე ადრე	გასაქვითი თანხის 1,73% ოდენობა	ანაზღაურების მოთხოვნის #
1	2	3

შენიშვნა: ივსება ხაზინის სამსახურის მიერ

ხელმოწერა

თარიღი